



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
სოციალური მომსახურების სააგენტო

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA030473207147516

№ 04-321/ა

13 / ივნისი / 2016 წ.

**საქართველოს მთავრობის N169 დადგენილებით დამტკიცებული „C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე სახელმწიფო პროგრამის“ ადმინისტრირებასთან დაკავშირებით ზოგიერთი ღონისძიების შესახებ**

„C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N169 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) ფარგლებში, სახელმწიფო პროგრამის უწყვეტად გაგრძელებისა და მოცვის შემდგომი გაფართოების, პაციენტთა ნაკადის მოსალოდნელი გაზრდის პირობებში მათი დროული და ხარისხიანი მომსახურების მიწოდების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის, ვალერი კვარაცხელიას 2016 წლის 11 აპრილის N01-6344 მოხსენებითი ბარათის, დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2016 წლის 10 ივნისის N 01/44719 წერილისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) 2016 წლის 9 ივნისის N04-407/კ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულმა, სააგენტოში დასაქმებულმა პირებმა (C ჰეპატიტის მართვის სერვის ჯგუფი), სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის C ჰეპატიტის მართვის სამმართველოზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებთან ერთად, მათი სამუშაო ადგილმდებარეობის (ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქუჩა N110) გათვალისწინებით (შემდგომში - სერვის ცენტრი), უზრუნველყონ:

ა) სერვის ცენტრში შემოსული იმ კორესპონდენციის დამუშავება, რეგისტრაცია და აღრიცხვა ელექტრონული მართვის სისტემაში (EMS), რომელიც უკავშირდება დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლედ რეგისტრაციის/პრერეგისტრაციის საკითხებს;

ბ) პირის პრერეგისტრაცია/რეგისტრაცია ელექტრონულ სისტემაში (C Elimination);

გ) წარმოდგენილი ფორმა NIV-100/ა-ს და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად, კვლევების მონაცემების ასახვა ელექტრონულ სისტემაში (C Elimination).

2. C ჰეპატიტის მართვის სერვის ჯგუფის წევრები, საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესრულების დროს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნებთან ერთად,

მკაცრად იქნენ გაფრთხილებული, განუხრელად დაიცვან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებები.


3. დაევალოთ:

ა) სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტს (კ. ჩხარტიშვილი), ადმინისტრირება გაუწიოს ბრძანების შესრულებას;

ბ) სააგენტოს დირექტორის აპარატს (ნ. ჩანადირი), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და მისი დანართების განთავსება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ([www.ssa.gov.ge](http://www.ssa.gov.ge)).

4. ბრძანება ძალაშია 2016 წლის 10 ივნისიდან.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს  
დირექტორი, საქართველოს შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის  
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე